MES 2 21 0000365884

16/04/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2021 წლის 01 აპრილს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისსაბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლეერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).
თამარ ვეხფვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;
ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კველვითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშრისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;
ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

სანდრო ტაბატაძე- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამთა ანთიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

1. გია გუგუშვილი- რექტორი;
2. გივი ყიფიანი - ვიცე-კანცლერი;
3. ნინო ღაღანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. ტატიანა მარგალიტაძე - სამართლებრივი სამსახურის უფროსი;
5. თამილა ლომაძე - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
6. ნანა იაშვილი - მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანი.

2. სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

1. ირაკლი შარაბაძე - რექტორი;
2. ირაკლი კაცაძე - რექტორის პირველი მოადგილე;
3. მურთაზ დევაძე - რექტორის მოადგილე;
4. მანუჩარ ლორია - რექტორის მოადგილე;
5. ნინო ყურშუბაძე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. რუსუდან ყიფიანი - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
7. ბესიკ ჩხიკვაძე - ფოთის ფილიალის სასწავლო და საწვრთნელი პროგრამების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ;
8. გივი ცქიტიშვილი - უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

სხვა დამსწრე პირები:
მარიამ დავითაშვილი
ნინო ჯიშკარიანი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):
ქეთევან აფთარაშვილი
მაკა გველესიანი
დავით სიხარულიძე
ინგა ბოჭოიძე
ნინო ორაგველიძე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

2.სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი - სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემული მონიტორინგი განხორციელდა წინა მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით, რაც, შეეხებოდა ავტორიზაციის 2.2 ქვესტანდარტსა და მე-4 სტანდარტს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თავად ისაუბრებდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე, ხოლო, ექსპერტთა ჯგუფის წევრი, მაკა გველესიანი, განიხილავდა პერსონალთან დაკავშირებულ საკითხებს. როგორც ექსპერტთა ჯგუფის

თავმჯდომარემ აღნიშნა, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ძირითადად, გაცემული რეკომენდაციები შეეხებოდა დაწესებულების მიერ განხორციელებულ გამოკითხვებს, მათ შორის პედაგოგების შეფასების ბეჭდურ ფორმასა და ნაკლებად დაცულ ანონიმურობას. მისი თქვით, ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა, რომ მოცემული საკითხები გამოსწორებულია და გამოკითხვები ჩაშენებულია ელექტრონულ პლატფორმაში. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის თქმით, 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში კოვიდ19-ით გამოწვეული პრობლემების გამო, არ განხორციელებულა კვლევები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მართალია დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა კითხვარები, რომლებიც დისტანციური სწავლების ტექნიკურ საკითხებს უკავშირდებოდა, მისი თქმით, მაინც საჭიროა კითხვარის მიზნებთან მისი შინაარსის შესაბამისობიდან გამომდინარე, უმჯობესია გადაიხედოს ზოგიერთი შეკითხვა. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ პროცესში სოციოლოგის ჩართულობა დადებითადაა შეფასებული. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაამატა, რომ გაცემული რეკომენდაციები მოცემულ ქვესტანდარტთან მიმართებით, ეხებოდა გამოკითხვებს როგორც აკადემიურ და მოწვეულ, ისე ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან მიმართებით. მისი თქმით, ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს თითოეული მათგანი და გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალისთვის განკუთვნილი კითხვარების ანალიზი მხოლოდ ზეპირსიტყვიერად მოხდა საფაკულტეტო საბჭოს სხდომაზე და ძირითად პრობლემას წარმოადგენს ნაკლებად ინდივიდუალიზებული შეფასებები და ასევე ამ გამოკითხვების შედეგების შეფასების ნაკლებად სისტემური ხასიათი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა ასევე ჩამოაყალიბა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:

2.2 ქვესტანდარტთან მიმართებით:

- კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, უსდ-მ უზრუნველყოს კითხვარების გადახედვა;
- უსდ-მ უზრუნველყოს კვლევის ანგარიშების გონივრულ ვადაში, სისტემური სახით შეგროვება და კვლევის შედეგებზე რეაგირების გაცნობა/გაზიარება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარისთვის;
- უსდ-მ უზრუნველყოფ ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრულფასოვანი შესრულება;

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მაკა გველესიანმა საუბარი გააგრძელა მე-4 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების განხილვა. მან აღნიშნა, რომ ცალკეული რეკომენდაციები, რომლებიც წინა მონიტორინგის პერიოდში გაიცა, ისინი მოითხოვს გარკვეულ დროს და ამ ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მაკა გველესიანმა, ასევე ჩამოთვალა მოცემული მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში გაცემულ და განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ:
4.1 ქვესტანდარტთან მიმართებით:

- „დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესში“ და „აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესში“განისაზღვროს შეფასების კონკრეტული წესი და კრიტერიუმები;
- შემუშავდეს და დაინერგოს აკადემიური პერსონალის შეფასებისა და შედეგების გაზიარების სისტემა;
- ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, შემუშავდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული განვითარების გეგმა;
- შემუშავდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში პერსონალის ჩართულობისა და მათთან ანგარიშგების სისტემური მექანიზმი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

4.2 ქვესტანდარტთან მიმართებით:

- შემუშავდეს პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის კონკრეტული მეთოდოლოგია;
- სასწავლო-მეთოდური საქმიანობის კომპონენტში განისაზღვროს თითოეული აქტივობის დატვირთვის მოცულობა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მაკა გველესიანმა, ასევე აღნიშნა, რომ მართალია ეს არის გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯები, ეს მაინც პირველი ეტაპია და ამდენად, მისი თქმით, რეკომენდაციების უმრავლესობა ნაწილობრივაა შეფასებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების რექტორმა, გია გუგუშვილმა აღნიშნა, რომ ახალი რეალობისა და ცენტრთან ურთიერთობამ აჩვენა, რომ დრო კიდევ წინაა და კონკურსები, რომლის რეალობის წინ ისინი დადგენიან წელიწადნახევარშია. მისი თქმით, მათ შეიმუშავეს კონკურსის პირობები, სწორედ ახალი ხედვების გათვალისწინებით და ეს საკმაოდ საინტერესო გამოდგა. მისი თქმით, ის პროცესი, რაც, მედიახელოვნების ფაკულტეტზე დაიწყო არ იყო ჩაშლისა და დაშლისკენ მიმართული და პირიქით, ეს შესაძლოა სასურველიც კი იყოს შემდგომი გაუმჯობესებისთვის.
დაწესებულების სამართლებრივი სამსახურის უფროსმა, ტატიანა მარგალიტაძემ აღნიშნა, რომ მათ შეიმუშავეს აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები, სადაც, საუბარი იყო შერჩევის წესზე, რომლიც შემუშავდა ფაკულტეტების თანამშრომლობის შედეგად და დამტკიცდა საფაკულტეტო საბჭოს მიერ. მისი თქმით, მოცემული დოკუმენტი არის ღია და საჯარო, ამდენად, მისი გაცნობის შესაძლებლობა ექნება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. მან ასევე აღნიშნა, რომ დოკუმენტში გაწერილია შერჩეული კრიტერიუმები და ამ მხრივ, ის ექსპერტების პოზიციას სრულად იზიარებს. მისი თქმით, პირველი კრიტერიუმი ისაა, რომ შეფასება ჯამში 100 ქულას უტოლდება და ვინც დააგროვებს უფრო მაღალ ქულას, ის იქნება გამარჯვებული ან/და შესაძლოა თითოეული კრიტერიუმისთვის ცალ-ცალკე იყოს განსაზღვრული გარკვეული ზღვრული ოდენობის ქულა. მისი თქმით, ფაკულტეტების განსხვავების გამო, შესაძლოა, კრიტერიუმები, საუნივერსიტეტო დონეზე ერთნაირი და ერთიანი არ იყოს. თუმცა, კრიტერიუმები შემუშავებულია და ექსპერტების პოზიციას, რომ თითქოს დაწესებულებას კრიტერიუმები არ აქვს, სამხატვრო აკადემია, მისი თქმით, ვერ გაიზიარებს. სამართლებრივი სამსახურის უფროსმა, ტატიანა მარგალიტაძემ დაამატა, რომ თითოეული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის კონკრეტულად არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შესასრულებელი სამუშაო, ასევე შერჩევის დროს დაწესებულება ითვალისწინებს კრიტერიუმებს, დგება ოქმი. მისი თქმით, ამგვარი გადაწყვეტილება ხდება არა ერთი ადამიანის, არამედ სამსახურის უფროსისა და ადამიანური რესურსების სამსახურის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ღიად და გამჭირვალედ.
საბჭოს თავმდჯომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, თამარ ვეხფვაძემა აღნიშნა, რომ უკმარისობის გრძნობა აქვს ხარისხის უზრუნველყოფის თემასთან დაკავშირებით და ითხოვა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი ამ თემასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ. ზურაბ ორჯონიკიძემ, აღნიშნა, რომ ტექნიკური პრობლემის გამო დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ღაღანიძე ვერ ერთვება პროცესში და მის ხმა არ ისმის.

საბჭოს წევრი, ეკა ეკალაძე, დაინტერესდა ექსპერტების პოზიციით, რამდენად რეალისტურია, რომ ნაწილობრივადაა შესრულებული და, რამდენად არსებობს იმგვარი გაცემული რეკომენდაცია, რომელიც შესრულებადი იყო 6 თვის განმავლობაში და არ შესრულდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებსა ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები და რადგან კითხვები აღარ იყო, საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ ერთი რეკომენდაცია, პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგიის არსებობა, არ შესრულებულა. მისი თქმით, განსაზღვრის წარმოდგენილი მეთოდოლოგია არის ზოგადი და არ იკვეთება, თუ კონკრეტულად როგორ ხორციელდება პერსონალის დაგეგმვა. ასევე მან დაამატა, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხთან მიმართებით, მთავარი გამოწვევა არის ციკლის სრულფასოვანი შესრულება და ვიზიტისას, მისი თქმით, გამოჩნდა, რომ ეს რეკომენდაციაც არ არის შესრულებული.
საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ დაამატა, რომ უერთდება ქალბატონი თამარ ვეფხვაძის კითხვას ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზი აღმოფხვრილია და აღნიშნა, რომ შეუძლია კითხვებზე პასუხის გაცემა. მისი თქმით, დაწესებულება მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს გარკვეულ ფაქტორებს, როგორებიცაა: პროგრამების რაოდენობა, მიმართულება, სტუდენტთა რაოდენობა და სხვა. მისი თქმით, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის წილი მაღალია და თავად სტუდენტური ჯგუფები არის ძალიან მცირე. ამდენად, მისი თქმით, მოცემულ 5-7 სტუდენტს უფრო მეტი აკადემიური პერსონალი ესაჭიროება, ვიდრე თეორიული სპეციალობები სდროს. ამდენად, ნინო ღაღანიძის შეფასებით, შეუძლებელია ერთიანი ფორმულის არსებობა თეორიულ და სახელოვნები სპეციალობებზე. მისი თქმით, მეთოდოლოგია შეიძლება იყოს ზოგადი და დაწესებულება აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. მისი თქმით, განათლების რეფორმის არსებული გამოცდილება მეტწილად უარყოფითად მოქმედებს სახელოვნები დარგზე, ასევე მისი თქმით, ამან უარყოფითი გავლენა იქონია სამედიცინო განათლებაზე. მისი თქმით, ვინაიდან უნივერსიტეტში ხუთი ფაკულტეტიდან სამი წმინდად სახელოვნებოა, ერთი არქიტექტურა და რესტავრაცია და ერთიც თეორიული, ხელოვნების ისტორია და თეორია, კონკურებთან დაკავშირებით მაინც ერთიანი წესი დაეგზავნათ ფაკულტეტებს. ამდენად, საჭიროა თითოეულ ფაკულტეტთან ცალ-ცალკე იმ საკითხების გავლა, რაც, კონკურსთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს შეეხება. მან ასევე დასძინა, რომ ამ თვალსაზრისით, მდგომარეობა თანაბარია სამეცნიერო და სახელოვნებო კრიტერიუმებთან მიმართებით. მისი თქმით, მათ სამინისტროსთან გაიარეს კონსულტაცია ამ მიმართულებით და გამოითქვა მზაობა, რომ ყველა კრიტერიუმი 2021 წლის ზაფხულამდე იქნება შემუშავებული.
საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ, დასვა შეკითხვა ექსპერტებთან და დაწესებულებებთან, რამდენად იყო მოაზრებული გაცემულ რეკომენდაციებში, რომ აკადემიური პერსონალის არჩევის წესი უნივერსალური უნდა იყოს.
საბჭოს წევრი, თამარ ვეხფვაძე დაინტერესდა, პერსონალის შეფასების კითხვართან დაკავშირებით და მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენელს, თუ არსებობს წინასწარ დაწერილი კრიტერიუმები, რასთან დადარებით უკავშირდება ის პერსონალის კონკურსს და რომელი უფრო პრევალირებს თვისებრივი თუ რაოდენობრივი მაჩვენებლები.
საბჭოს წევრმა, იური მღებრიშვილმა, იკითხა რა მეთოდოლოგიით ხორციელდებოდა კვლევა და რამდენად აქვს უნივერსიტეტს სხვა მსგავსი საერთაშორისო ტიპის ინსტიტუციასთან თანამშრომლობის გამოცდილება და რამდენად გათვალისწინებულია მათი მიღწევები
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მაკა გველესიანმა აღნიშნა, რომ კრიტერიუმებზე, რომლებზეც ისინი საუბრობენ, ეს არ იქნება უნიფიცირებული, ვინაიდან დაწესებულებების მხრიდან არის გამოყოფილი მიმართულებები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მეთოდოლოგია არ გამოვა ერთიანი და ის უნდა იყოს ჩაშლილი და ეს ეხება როგორც მეთოდოლოგიის, ისე კონკურსის წესსა და მისი შეფასების კრიტერიუმებს და სწორედ ამიტომაა ზაფხულამდე დრო საჭირო. მან, ასევე აღნიშნა, რომ თვითშეფასებასთან დაკავშირებით, მიდგომა შეიცვალა და აქვთ, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მაჩვენებლები, მისი თქმით, იგულისხმება აკადემიური კონკურსის პროცესი. მისი თქმით, აკადემიური პერსონალის შერჩევის დროს, გარდა პორტფოლიოსი, არანაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს პედაგოგიკურ გამოცდილებას, რადგან კარგი ხელოვნები, კარგ პედაგოგს არ ნიშნავს. მან ასევე ისაუბრა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ თავად როგორ აფასებს აკადემიური პერსონალი თავის მიღწევებს და სწორედ ესაა თვითშეფასება.
საბჭოს წევრმა, იური მღერბრიშვილი დაინტერესდა როგორ განისაზღვრება დაწესებულების მხრიდან ხარისხობრივი მონაცემი ხელოვნებაში, კონკრეტულად, ასეთი ხარისხობრივი კრიტერიუმის შემუშავება.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ეს არის უშუალო მუშაობა სხვადასხვა ფაკულტეტთან და ამ მიმართულებით, პრიორიტეტი ხდება საკუთარ სტუდენტებთან ერთად გარკვეული შემოქმედებითი პროექტის მომზადება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა, აღნიშნა, რომ დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფმა მიუთითა, რომ კონკურსის ჩატარების წესის ირგვლივ აღინიშნა, რომ პერსონალს მისი მონახაზი გაეგზავნათ, რეკომენდაციები და კომენტარები გასცეს, თუმცა, მისი თქმით, უშუალოდ ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ საბოლოო სახით, როგორ მოხდა ამ რეკომენდაციების გაზიარება, ამას პერსონალი არ იცნობდა. ასევე, შედეგებთან დაკავშირებით, მისი თქმით, გამოვლინდა, რომ სისტემურობა გასაძლიერებელი კომპონენტია და ეს დაწესებულებამაც აღნიშნა, რომ აღნიშნულ თემაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს.
საბჭოს წევრმა, იური მღებრიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კონკრეტულად, როგორია მათი მხრიდან ხელოვნების უმაღლესი განათლების სტრატეგიის მიმართულებით თქვენი კავშირი სხვა დაწესებულებებთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელოვნებო უმაღლეს განათლებას სხვანაირი ხარისხის უზრუნველყოფა სჭირდება, რაც, ჩვეული პრაქტიკაა სხვა უცხოურ სასწავლებლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:55 წუთი
საბჭოს სხდომა განახლდა: 16:05 წუთი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისთვის დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენისთვის 1 წლიანი ვადის განსაზღვრა.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლი 24-ე და 25-ე პუნქტების შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას მონიტორინგთან დაკავშირებით და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენისთვის დაწესებულებას განესაზღვროს 1 წლიანი ვადა.

მეორე საკითხი - სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ, აღნიშნა, რომ 2018-2024 წლის სტრატეგიული გეგმის მიხედვით, გადაწყდა ფოთის სასწავლო და საწვრთნელი ცენტრის გახსნა და ფილიალში პრიფესიული პროგრამებისა და მოკლევადიანი ტრენინგების განხორციელება. მისი თქმით, დაწესებულება 1000 სტუდენტზეა გათვლილი და ამდენად, ფილიალის გახსნის მიზნით გადაეცა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წმინდა გიორგის ქუჩა 24-ში მდებარე 11300 კვადრატული მეტრის ტერიტორია და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები. დავით სიხარულიძის თქმით, 2021 წლის 22-23 თებერვალს განხორციელდა ვიზიტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ქალაქ ბათუმში და ფოთის ფილიალში ქალაქ ფოთში, ვიზიტის მიზანი იყო ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ფართის დამატების შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რაც, დაწესებულებამ მათ დროულად მიაწოდა. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში მოხდა მხოლოდ ფართის საკითხთან დაკავშირებული კომპონენტების და არა სრულად ავტორიზაციის ყველა სტანდარტის დეტალური შეფასება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჩამოთვალა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არსებული შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, სამედიცინო კაბინეტის მოწყობა და სტანდარტის მიხედვით, სამედიცინო პერსონალის აყვანა;
- რეკომენდირებულია, დამონტაჟდეს შესაბამისი ცეცხლმაქრები შენობის უსაფრთხოებისთვის;
- რეკომენდირებულია შენობის ყველა სართულზე დამონტაჟდეს ცეცხლმაქრები, მათი გამოყენების ინსტრუქციის დეტალური მითითებით;
- რეკომენდირებულია, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, ჰ17 ქვეპუნქტის შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის

მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობა, შესაბამისობაში მოვიდეს დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ სტატუსთან (ფილიალის სტატუსი) და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან;

- რეკომენდირებულია, ფოთის ფილიალისთვის შემუშავდეს სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა;
- რეკომენდირებულია, სასწავლო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობა და სტატუსი, მოვიდეს ერთმანეთთან და ფოთის ფილიალის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობაში;
- რეკომენდირებულია, ბიბლიოთეკაში სივრცეების ადეკვატურად მოწყობა;
- რეკომენდირებულია, ბიბლიოთეკის აღჭურვა და კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით სარგებლობის შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- რეკომენდირებულია, ბიბლიოთეკარის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, საბიბლიოთეკო საქმიანობის კომპეტენციის გათვალისწინება და არსებულ ვაკანსიაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის აყვანა;
- რეკომენდირებულია, ფოთის ფილიალის წიგნადი ფონდის ელექტრონულ კატალოგში ასახვა და სტუდენტებისა და პერსონალისთვის კატალოგით სარგებლობის უზრუნველყოფა;
- რეკომენდირებულია, უზრუნველყოფილ იქნას ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ფოთის ფილიალის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ ვებ-გვერდზე;
- რეკომენდირებულია, დაწესებულებამ შეიმუშავოს ფინანსური გეგმა (პროგნოზი), სადაც ასახული იქნება ფილიალების მომდევნო მინიმუმ სამი წლის ხარჯების და შემოსავლების დინამიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების რექტორი, ირაკლი შარაბიძე, მიესალმა საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, საზღვაო სფერო სამეგრელოშიც უნდა განვითარდეს. მისი თქმით, ანაკლიის ნავსაყუდელის საკითხის გამო, მნიშვნელოვანია, რომ ფოთში ამ მიმართულების სპეციალისტი არსებობდეს. მან აღნიშნა, რომ წელიწადნახევრის წინ გამოცხადდა ტენდერი, ფოთის მელიორაციის ინსტიტუტმა გაიარა რეაბილიტაცია და გადაეცა საზღვაო აკადემიას. ირაკლი შარაბიძის თქმით, ეს არის მნიშვნელოვანი პროექტი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარებისთვის და მოცემულ ტერიტორიაზე იგეგმება ჯერ პროფესიულ, შემდგომ კი უმაღლესი მიმართულებები. ასევე მან დაამატა, რომ აი პი ემ ტერმინალმა, დაწესებულებას მნიშვნელოვანი და თანამედროვე ამწე საჩუქრად გასასცა. მან ასევე აღნიშნა, რომ პირველ აპრილს დაიწყო ფოთის საბუქსირე კომპანიის მეზღვაურების წვრთნა დაეს დიდი შენაძენია როგორც ფოთისთვის, ისე საქართველოსთვის.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ყურშუბაძემ, აღნიშნა, რომ რომ ყველა რეკომენდაცია არის მისაღები და არგუმენტირებული პოზიცია დროულად იყო წარმოდგენილი, მასში ასახული იყო, როგორ აპირებს დაწესებულება ამ რეკომენდაციების გათვალისწინებას. მან ჩამოთვალა რამდენიმე მათგანი, მაგალითად, სამედიცინო კაბინეტის მოწყობა და სამედიცინო პერსონალის აყვანა და აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე ეს საკითხი მოგვარებული იქნება. ასევე, ცეცლხმაქრების ყველა სართულზე დამონტაჟების საკითხი მოგვარებულია, რისი დაგვიანების მიზეზიც კი სამშენებლო კომპანიის ვადის გადაცილება იყო. მან ასევე აღნიშნა, რომ დასრულებულია საბიბლიოთეკო სამუშაო ოთახის მოწყობა და იგეგმება ერთი დამატებითი ბიბლიოთეკარის აყვანა ფოთში. მან ასევე აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ერთიან სივრცეშია უკვე მოცემული შენობა წარმოდგენილი. ასევე მან დაამატა, რომ ფოთის ფილიალს ცალკე ექნება სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს გზას, თუ როგორ უნდა გადავიდეს პროფესიული პროგრამების გარდა, მოცემული ფილიალი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

საბჭოს თავმდჯომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, ივანე აბაშიძემ, აღნიშნა, რომ ალბათ, სასურველი იქნებოდა ისეთი ტიპის რეკომენდაციებისგან თავის არიდება, როგორიცაა ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების საკითხი. მან ასევე აღნიშნა, რომ აცნობიერებს რაოდენ მნიშვნელოვანია მოცემული დაწესებულების გამართულად მუშაობა საზღვაო სფეროს განვითარებისთვის.
საბჭოს წევრი, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა ცეცლხმაქრებთან დაკავშირებით არსებობს თუ არა რაიმე განსაკუთრებული პროცედურა.
უნივერსიტეტის რექტორი, ირაკლი შარაბიძემ, დაამატა, რომ ვიზიტის დროს ცეცხლმაქრები არ იყო მოსწრებული, თუმცა, 10 დღის წინ, სამივე სართულზე, ამ მხრივ, ყველაფერი მზად არის და მოწესრიგებულია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ინგა ბოჭოიძემ, დაამატა, რომ ამ თემაზე არსებობს მთავრობის დადგენილება, თუ რა ტიპის დაწესებულებაში რა ტიპის ცეცხლმაქრები უნდა არსებობდეს.
საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძე დაინტერესდა რამდენად ამზადებს აკადემია მეზღვაურებს, რომლებიც იმუშავებენ წყალქვეშა ნავებზე, რადგან ამის მოთხოვნა არის საერთაშორისო ბაზარზე.
დაწესებულების რექტორმა, ირაკლი შარაბიძემ აღნიშნა, რომ უშუალოდ ისინი ვერ ამზადებენ სამხედრო მიმართულებით, თუმცა აქვთ საერთაშორისო საზღვაო სამხედრო უნივერსიტეტებთან და რამდენიმე სტუდენტი მიდის და იღებს განათლებას ამ მიმართულებით, თუმცა, მისი თქმით, სამწუხაროდ, ისინი საზღვაო სამხედრო გემების მიმართულებით ვერ მუშაობენ.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ, აღნიშნა,რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა ფოთში ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის შესახებ და მიესალმა ამ ინიციატივას. ასევე, მან ექსპერტებისგან მოითხოვა დაზუსტება 7.1 სტანდარტთან დაკავშირებით, ხომ არ არის წინააღმდეგობრივი, ერთი მხრივ, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის არსებობს და მეორე მხრივ, იმის აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰყავს სამედიცინო პერსონალი.
საბჭოს წევრის მხრიდან დაისვა შეკითხვა, თუ როგორ პოულობს ბიბლიოთეკარის კვალიფიკაციის მქონე პიროვნებას ფოთის ფილიალი, როცა ამ მხრივ, ქვეყანაში მნიშვნელოვანი პრობლემებია?
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ, აღნიშნა,რომ დაწესებულებას ოფიციალურად სამედიცინო კვალიფიცური პერსონალი არ ჰყავთ, თუმცა ჰყავს აკადემიური პერსონალი, რომელიც კონკრეტულად სამედიცინო მომსახურეობასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს და მისი კვალიფიკაცია საკმარისია იმისთვის, რომ დაწესებულებამ ეს ფუნქცია შეასრულოს.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ინგა ბოჭოიძემ აღნიშნა, რომ სტანდარტი პირდაპირ ითხოვს, რომ ბიბლიოთეკარს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია ან სფეროში მუშაობის გამოცდილება. მისი თქმით კი, ვიზიტის დროს, მოცემულ ბიბლიოთეკარს არც ერთი ჰქონდა და არც მეორე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რუსუდან ყიფიანმა აღნიშნა, რომ მოცემული კვალიფიკაციის მქონე პირის პოვნა საკმაოდ რთულია და ამდენად, აყვანილი პირი მინიმალური კომპეტენციის არსებობის გამოა აყვანილი და მისი გადამზადება დღემდე მიმდინარეობს. მისი თქმით, მეორე პირის საკითხი კი პრაქტიკულ გამოცდილებასთანაა დაკავშირებული
საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ იკითხა რამდენია ბათუმში და ფოთის ფილიალში სტუდენტების ზღვრული რაოდენობა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ, აღნიშნა, რომ რესურსები 1000 სტუდენტზეა განსაზღვრული. მან ასევე აღნიშნა, რომ ფოთის შენობა-ნაგებობა უმაღლეს დონეზეა გარემონტებული, კეთილმოწყობილია აუდიტორიები, არის სიმულაციები, არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. მისი თქმით, ასევე არის რეკრეაციული სივრცე, სტადიონი, ფიტნეს კლუბი და კიდევ ბევრი სტუდენტებისთვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რუსუდან ყიფიანმა აღნიშნა, რომ ფილიალი მუდმივად მოიაზრებოდა აკადემიის ნაწილად, თუმცა, საუბარია დებულებასა და წესდებაში არ ფიქსირებოდა, რომ ფილიალში აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებსა ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები და რადგან კითხვები აღარ იყო, საბჭო გავიდა შესვენებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:40 წუთი
საბჭოს სხდომა განახლდა: 16:50 წუთი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 24-ე და 25-ე პუნქტების შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მონიტორინგთან დაკავშირებით და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენისთვის დაწესებულებას განესაზღვროს 1 წლიანი ვადა. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის №58-ე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან (2 727 ადგილი) ქ. ფოთში მდებარე შენობა-ნაგებობაში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 17:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით